საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10210/01
28/09/2021

10210-01-2-202109281335

**სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 7 სექტემბრის N22/6247 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღარის, სოფ. ნაკიეთის და სოფ. წედისის მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების საკითხს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის სიახლოვეს, თუმცა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სოფ. ღარის „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობის (დრენაჟი I) ტერიტორიის მთლიანი 3126 კვ.მ. ფართობიდან (shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 92 კვ.მ. ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ონის სატყეო უბნის ღარის სატყეოს კვარტალ 15-ის ლიტერ 41-ს. სახელმწიფო ტყის საზღვრებში ხვდება ასევე სოფ. წედისის („ცხრათავას“) სათავე ნაგებობა - წყარო. ხოლო სოფ. ნაკიეთის „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობა (დრენაჟი II) მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის სიახლოვეს.

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. აღნიშნული შეთანხმების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში. ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში ასახული უნდა იყოს სახელმწიფო ტყეზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი.

სოფ. ღარი და სოფ. ნაკიეთის სათავე ნაგებობები მდებარეობს მდ. რიონის სიახლოვეს, მარცხენა ჭალაში, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს, როგორც მდ. რიონზე ზემოქმედების საკითხი, ასევე მდინარე რიონის მიერ აღნიშნულ სათვავე ნაგებობებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისშიებების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

ზემოაღნიშული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე